ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
სამაგისტრო პროგრამა: ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში

კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	**ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	1. თეატრის რეჟისურის მაგისტრი Master of Directing 2. სამსახიობო ხელოვნების მაგისტრი Master of Acting
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	120 კრედიტი, 4 სემესტრი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	ივანე ხუციშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2020 წელს და განახლებადია ყოველი სასწავლო წლის სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების წარმატებით ჩაბარება.

შენიშვნა: *უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და სახელოვნებო სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამზე „ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში“ ჩასაბარებლად მაგისტრანტობის კანდიდატს არ ესაჭიროება საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება.*

პროგრამაზე მიღების პირობები და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის მოთხოვნები და შეფასების სისტემა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია შეუქმნას მომავალ რეჟისორებსა და მსახიობებს საშემსრულებლო პრაქტიკასთან ინტეგრირებული გარემო და მოქმედ თეატრში სახელოსნოს პრინციპებზე დაფუძნებული მუშაობით მისცეს მათ საშუალება თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი მიმართულებით (რეჟისურა ან სამსახიობო ხელოვნება), ახალი ცოდნის შეძენის საფუძველზე, განავითარონ საკუთარი ინდივიდუალური შემოქმედებითი ხედვა და გააღრმავონ სპექტაკლის თანაავტორობით შექმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რათა მზად იყვნენ როგორც დამოუკიდებელი პროფესიული წინსვლისთვის, ისე კონკურენტუნარიანი გარემოს შესაქმნელად თეატრალური ხელოვნების სფეროში.

პროგრამა დაფუძნებულია მსოფლიოს ისეთი წამყვანი თეატრალური სკოლების სასწავლო პროგრამების გამოცდილებაზე, როგორიცაა იეილის დრამატული სკოლა (აშშ), როიალ ჰოლოუეის უნივერსიტეტი, შოტლანდიის სამეფო კონსერვატორია (დიდი ბრიტანეთი) და სხვ.

სწავლის შედეგები

სამაგისტრო პროგრამის **ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში** დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს:

1. აქვს თეატრალური ხელოვნების განვითარების გზების: თეორიებისა და მეთოდების, ფორმებისა და მიმართულებების, კლასიკური და თანამედროვე მიდგომების, ლიტერატურული და ქმედითი ანალიზის ღრმა და სისტემური ცოდნა;
2. შეუძლია პროფესიულ გარემოში, რეჟისორისა და მსახიობების კოლაბორაციის საშუალებით შექმნას თეატრალური პროდუქტი, რისთვისაც იყენებს ტრადიციულ და თანამედროვე თეატრალურ თეორიებსა და მეთოდებს და ახდენს იდეების ინოვაციურ სინთეზს.
3. აქვს კრიტიკული აზროვნებისა და ანალიტიკური წერის კომპლექსური უნარები;
4. აფასებს საკუთარ და სხვის შემოქმედებით დაოსტატებას და ადეკვატურად იყენებს შემოქმედებითი ჯგუფის შესაძლებლობებს;
5. მოქმედ თეატრში სახელოსნოს პრინციპებზე დაფუძნებული მუშაობის შედეგად აქვს შემოქმედებით და სადადგმო კოლექტივთან, კოლეგებთან, დარგის სპეციალისტებთან, მაყურებელთან, სპონსორებთან, მასმედიასთან, თეატრის ადმინისტრაციასთან, ტექნიკურ პერსონალთან და ა.შ. კომუნიკაციის უნარი;
6. აქვს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის უნარი.

სამსახიობო ხელოვნებაში მაგისტრის ხარისხის მოპოვების შემთხვევაში
კურსდამთავრებულს:

7.1. აქვს როლის გააზრების, როლზე დამოუკიდებლად მუშაობის, შექმნისა და საჯარო დემონსტრირების უნარი მსახიობის ოსტატობის ელემენტების გამოყენებით;

დრამის რეჟისურაში მაგისტრის ხარისხის მოპოვების შემთხვევაში
კურსდამთავრებულს:

7.2. შეუძლია დრამატურგიული ნაწარმოების შერჩევა და ლიტერატურული პირველწყაროს მიხედვით სხვადასხვა სტილისა და ჟანრის თეატრალური წარმოდგენის შემოქმედებითი კონცეფციის პრაქტიკაში სხვადასხვა ფორმით განხორციელება;

7.3. აქვს თეატრალური პროდუქტის შექმნის, პროცესის დაგეგმვისა და მართვის უნარი მის საწყის, ძირითად და პოსტპროდუქციის ეტაპებზე.

პროგრამის სტრუქტურა

სამაგისტრო პროგრამის "ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში" წარმატებით დასრულებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი ქვემოთმოცემული სქემის მიხედვით:

- **საერთო ბლოკი - თეატრალური სახელოსნო:** 51 კრედიტი
- **რეჟისორების ბლოკი:** 27 კრედიტი
- **მსახიობების ბლოკი:** 27 კრედიტი
- **საერთო არჩევითი ბლოკი:** 12 კრედიტი
- **სადიპლომო სპექტაკლი:** 30 კრედიტი
- **მასტერკლასები**

სწავლების მეთოდები

- ლექცია;
- სემინარი;
- ანალიზი და სინთეზი;
- დისკუსია და დებატები;
- ინდივიდუალური, წყვილებში და ჯგუფური მუშაობის მეთოდები;
- შემთხვევის ანალიზი;
- დემონსტრირება;
- პრეზენტაციები;
- კეთებით სწავლება(experiential learning);
- პრაქტიკული მუშაობა.

პროგრამაში გათვალისწინებული კომპონენტების ფარგლებში შესაძლოა იყოს გამოყენებული ზემოთჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე მეთოდი ან ნებისმიერი სხვა მეთოდი კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე, რაც ასახულია შესაბამის სილაბუსში.

შეფასების სისტემა

შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:

(A) ფრიადი - 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;

(C) კარგი - 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი -61-70 ქულა;

(E) საკმარისი - 51-60 ქულა;

(FX) ვერ ჩააბარა- 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა- 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშნვა: შეფასების კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

დასაქმების სფეროები

- პროფესიული თეატრები
- კერძო თეატრები
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები - თეატრალური ხელოვნების ისტორიის, თეატრალური სტუდიების მიმართულებით
- შემოქმედებითი სტუდიები
- ტელევიზია
- კინო ინდუსტრია
- ფესტივალები

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

პროგრამა ეფუძნება სახელოსნოს პრინციპით მუშაობას, რაც მოიცავს სტუდენტების მოქმედი თეატრის პირობებში სწავლებას. შესაბამისად, სწავლების აუცილებელ ძირითად პირობას ქმნის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ილიაუნის თეატრი (ტექნიკური აღჭურვილობით, სარეპეტიციო დარბაზებითა და ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალით), რაც სტუდენტებს უქმნის ერთგვარ თეატრალურ მოდელს სასწავლო პროცესის დროს.

სწავლისთვის აუცილებელ პირობებს აგრეთვე ქმნის:

- საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა
- ელექტრონული სამეცნიერო ბაზები
- ტექსტური, აუდიო, ვიდეო საცავები
- უნივერსიტეტის საინფორმაციო-კომპიუტერული ცენტრი
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა (არგუსი) და უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალი (elearning) და პროგრამა Turnitin
- პარტნიორი დაწესებულებები, რომელთანაც უნივერსიტეტს დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები

კურსების ჩამონათვალი

#	კურსები	სტატუსი (სავ., სავ./არჩ., არჩ.)	ლექტორი	წინაპირობა	კ რ ე დ ი ტ ე ბ ი	სა კ ო ნ ტ. სა ა თ ებ ი	სემესტრები	
							შემ.	გაზ.
საერთო ბლოკი თეატრალური სახელოსნო								
1	პერფორმანსის და ინსტალაციის ხელოვნება	სავ	ქეთევან შავგულიძე		3	32	X	
2	თეატრალური ხელოვნების ფორმები და მიმართულებები	სავ	თამარ მუქერია		6	48	X	
3	ბერძნული დრამა	სავ	ლევან ბერძენიშვილი		6	32	X	
4	მოძრაობა და თეატრი	სავ	სოფიო კილასონია		3	32		X
5	დითირამბიდან როკ-ოპერამდე	სავ	თამარ მუქერია		3	31		X
6	სასცენო მეტყველება 1	სავ	მარიამ კობახიძე		3	62	X	
7	ART უნარები: მეტამორფოზა ცნობიერს მიღმა	სავ	თიკო ქათამაშვილი		3	62	X	
8	მასტერკლასი: შექსპირი - დადგმა, თამაში, მართვა	სავ	გიგა ზედანია; გიორგი მარგველაშვილი; ავთანდილ ვარსიმაშვილი; მანანა ანთაძე; ნატალია თვალჭრელიძე; ივანე ხუციშვილი		3	31		X
9	სანამ რეპეტიცია დაიწყება	სავ	ივანე ხუციშვილი	დრამის რეჟიურა-2, ან მსახიობის ოსტატობა-2	6	122	X	
10	დოკუმენტური თეატრი	სავ	დავით თავაძე	დრამის რეჟიურა-2, ან მსახიობის ოსტატობა-2; თეატრალური ხელოვნების	6	122	X	

				ფორმები და მიმართულებები				
11	პერფორმანსი და ინსტალაცია / პრაქტიკული კურსი	სავ	შოთა ბაგალიშვილი	პერფორმანსის და ინსტალაციის ხელოვნება	3	31	X	
12	თეატრალური პროექტი და მისი მართვა	სავ	ნატალია თვალჭრელიძე		3	32	X	
13	პრაქტიკა თოჯინების თეატრში	სავ	ტუტორი თოჯინების თეატრში		3	75	X	
	მასტერკლასები	სავ					X	X
რეჟისორების ბლოკი								
14	დრამის რეჟისურა 1	სავ	ივანე ხუციშვილი		6	122	X	
15	დრამის რეჟისურა 2	სავ	ივანე ხუციშვილი	დრამის რეჟისურა-1	6	122		X
16	თანამედროვე სცენოგრაფიის ისტორია	სავ	ქეთევან შავგულიძე		3	32	X	
17	პრაქტიკა ოპერისა და ბალეტის თეატრში	სავ	ტუტორი ოპერისა და ბალეტის თეატრში		3	75		X
18	არავერბალური თეატრი - სხეულის ენა	სავ	თათა თავდიშვლი	დრამის რეჟისურა-2; მოძრაობა და თეატრი	3	62		X
19	სივრცის დიზაინი	სავ	შოთა ბაგალიშვილი		6	32		X
მსახიობების ბლოკი								
20	მსახიობის ოსტატობა 1	სავ	ივანე ხუციშვილი		6	122	X	
21	მსახიობის ოსტატობა 2	სავ	ივანე ხუციშვილი	მსახიობის ოსტატობა-1	6	122		X
22	სიმღერის ხელოვნება 1	სავ	ნინო სიხარულიძე		3	62	X	
23	სიმღერის ხელოვნება 2	სავ	ნინო სიხარულიძე	სიმღერის ხელოვნება-1	3	62		X
24	სასცენო მეტყველება 2	სავ	მარიამ კობახიძე	სასცენო მეტყველება-1	3	62		X
25	ფიზიკური თეატრი - სხეული, როგორც სიტყვა 1	სავ	თათა თავდიშვილი	მსახიობის ოსტატობა-1	3	62		X
26	ფიზიკური თეატრი - სხეული, როგორც სიტყვა 2	სავ	თათა თავდიშვილი	ფიზიკური თეატრი - სხეული, როგორც სიტყვა-1	3	62	X	
საერთო არჩევითი ბლოკი - 12 კრედიტი								
	ვიზუალური ნიშნები თანამედროვე კულტურაში	არჩ	ხათუნა ხაბულიანი		6	30		X
	ჯგუფური არტ-თერაპიული ტექნიკები	არჩ	რუსუდან მირცულავა		6	32		X

	ახალი ევროპული დრამა - ტექსტი და თეორია	არჩ	დავით გაბუნია		6	32	X	
	თეატრალური გრიმი	არჩ	ანუკა მურვანიძე		6	48	X	
სადიპლომო სპექტაკლი								
27	სადიპლომო სპექტაკლი	სავ	-	1. საერთო ბლოკი- თეატრალური სახელოსნო; 2. რეჟისორების ბლოკი ან მსახიობების ბლოკი 3. მასტერკლასები	30	-		X